N 850 / 12.07.2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, ელექტრონული ფორმით, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- 2022 წლის 1-ელი მარტიდან 2024 წლის 1-ელ ივლისამდე პერიოდში, საკრებულომ რამდენი საზოგადოებრივი სამუშაოს ვაკანსია შექმნა ან/და დაარეგისტრირა დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე); გთხოვთ, მიუთითოთ თითოეული განცხადების ატვირთვის დრო, თავისუფალი/დაუკავებელი სამუშაოს ადგილი, პოზიციის დასახელება, შესასრულებელი საზოგადოებრივი სამუშაოს აღწერილობა, სამუშაო დროის ოდენობა;

- მითითებულ პერიოდში რის საფუძველზე განისაზღვრა საკრებულოს მიერ დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე) რეგისტრირებული საზოგადოებრივი სამუშაოების ვაკანსიების საჭიროება. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საზოგადოებრივი სამუშაოების ვაკანსიების გამოცხადებასთან დაკავშირებით საქმისწარმოების მასალები სრულად;

- 2022 წლის 1-ელი მარტიდან 2024 წლის 1-ელ ივლისამდე პერიოდში დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე) რეგისტრირებული განცხადებებიდან სულ რამდენ პირთან გაფორმდა სოციალური ხელშეკრულება, თითოეულ შემთხვევაში - როდის, რა პოზიციაზე და რა ვადით;

- 2022 წლის 1-ელი მარტიდან 2024 წლის 1-ელ ივლისამდე პერიოდში რამდენ დასაქმებულთან შეწყდა სოციალური ხელშეკრულება, თითოეულ შემთხვევაში - რის საფუძველზე, როდის და რა მიზეზით;

საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდეთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე
sakartvelosambebi.ge@gmail.com

პატივისცემით,

Gela Mtivlishvili 13001008336

Digitally signed by Gela Mtivlishvili
Date: 2024.07.12 12:54:59

გელა მთივლიშვილი

რედაქტორი